ევროპის მწვანე შეთანხმება და მისი პოლიტიკური, სამართლებრივი და ეკონომიკური ზეგავლენა საქართველოზე

European Green Deal and Its Political, Legal and Economic Implications for Georgia

ევროპული ინტეგრაციის კვლევითი ცენტრი
სამეცნიერო პროექტი

პროექტის ხანგრძლივობა: 01.10.2021 – 31.12.2021

პროექტის აბსტრაქტი

საქართველოს კანონმდებლობის რეფორმა და სტაბილური, საბაზრო ეკონომიკურ პრინციპებზე დაფუძნებული მარეგულირებელი გარემოს შექმნა შეუქცევადი, თუმცა რთული პროცესია. დრომოჭმული კანონმდებლობის მოდერნიზაციისათვის აუცილებელია ე.წ. „შეხედულებათა ცვლილება“ და თანმიმდევრული ცვლილებები. უკანასკნელ წლებში, ამ რეფორმების მნიშვნელოვანი ნაწილი საქართველოსა და ევროპის კავშირის (ევროკავშირი) თანამშრომლობას და ევროპული კანონმდებლობის ფარგლებში ქართული სამართლის ჰარმონიზაციას უკავშირდება. ამ პროცესში განსაკუთრებით თვალშისაცემია აშკარა სიჭარბე ისეთი თემატიკის მიმართ, რომელიც პირდაპირ თუ არაპირდაპირ უკავშირდება მდგრადი განვითარების მიზნების რეალიზებას, მწვანე ენერგეტიკისა და კლიმატის ცვლილების პოლიტიკის უზრუნველყოფასა და წინ წამოწევას.

საგულისხმოა, რომ აღნიშნული პროცესები ემთხვევა ევროკავშირის მიერ სულ ცოტა ხნის წინ ე.წ. „მწვანე შეთანხმების“ (European Green Deal) მიღწევას, რომელიც ევროკავშირის დეკარბონიზაციის უახლესი გეგმაა და 2050 წლისთვის კლიმატ-ნეიტრალური ევროპული კონტინენტის შექმნას გულისხმობს. მისი მასშტაბიდან გამომდინარე აშკარაა, რომ „მწვანე შეთანხმება“ არაა მხოლოდ კლიმატ-მეგობრული გარემოს შექმნის მცდელობაა, არამედ ეკო-აზროვნების სრულიად ახალი ევროპული წესრიგი, რომელსაც უდიდესი გავლენა ექნება მის სამეზობლო ურთიერთობებზე, მათ შორის საქართველოზე.

მომეტებული საზოგადოებრივი და სამეცნიერო ინტერესის გათვალისწინებით წინამდებარე პროექტი გულისხმობს აღნიშნული პროცესის სიღრმისეულ კვლევით ანალიზს, საქართველოს ეროვნულ უნივერსიტეტში (სეუ) ორ დღიანი ინტერდისციპლინური სამეცნიერო კონფერენციის გამართვას და მიღებული შედეგების გამოქვეყნებას, რის საფუძველზეც შეფასდებაევროპის მწვანე შეთანხმების პოლიტიკური, ეკონომიკური და სამართლებრივი ზეგავლენა საქართველოზე.

პროექტის შინაარსი

1. პროექტის კონცეფცია - მიზნები და ამოცანები, სამიზნე ჯგუფები

ევროკავშირის მწვანე გარიგება ეკონომიკის ძირეულ ტრანსფორმაციასა და ევროპის კონტინენტზე კლიმატ-ნეიტრალურობის მიღწევას ითვალისწინებს. ეს კი მოითხოვს წევრი სახელმწიფოებისადა რეგიონის მასშტაბით რისკებსა და შესაძლებლობებს შორის გონივრულ ბალანსს. მის იდეოლოგიასთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ „მწვანე შეთანხმება“ არ ქმნის რაიმე განსხვავებულ პოლიტიკურ ან სამართლებრივ პროცესს, არამედ წარმოადგენს ევროკავშირის განახლებულ მიდგომას გაეროს 2030 წლის დღის წესრიგის, მდგრადი განვითარების მიზნების შესასრულებლად (UNGA, 2015) და კლიმატის ცვლილების სამიზნე მაჩვენებლების (სათბურის ემისიების შემცირება, განახლებადი ენერგია, ენერგოეფექტურობა) მისაღწევად.

საგულისხმოა, რომ ევროკავშირმა მწვანე შეთანხმების სისრულეში მოყვანის მიზნით 2021 წლის 28 ივნისს მიიღო ძალზე მნიშვნელოვანი სამართლებრივი ინსტრუმენტი „ევროპის კლიმატის კანონი,“ რომელმაც სამართლებრივ დონეზე დაამოწმა მწვანე შეთანხმების პოლიტიკური გარიგება და აღსრულების სპეციალური მექანიზმები განსაზღვრა. საინტერესოა, თუ რა პირდაპირი თუ ირიბი პოლიტიკურ-ეკონომიკური და სამართლებრივი ზეგავლენა ექნება ამ ყოველივეს საქართველოზე. დღეს, ქართული სამართლის სისტემა ისედაც მნიშვნელოვანი გამოწვევების წინაშე დგას, რაც უპირველესად სწორედ ევროპეიზაციის დღის წესრიგითაა გაპირობებული და, ამ მხრივ, კონკრეტულ სამართლებრივ ჩარჩოს ევროკავშირი-საქართველოს ასოცირების ხელშეკრულება (AA) წარმოადგენს. უკვე არსებული ასოცირების შეთანხმება ქვეყნისგან კანონით განსაზღვრულ დროში შესაბამისი საკანონმდებლო ვალდებულებების შესრულებასა და ევროკავშირის რამდენიმე ძირითადი აქტის სრულ ან ნაწილობრივ იმპლემენტაციას მოითხოვს. ჩნდება კითხვები: რამდენად მოიცავს მწვანე შეთანხმება ევროპის სამეზობლო ურთიერთობებს (ENP, EaP)? იცვლება თუ არა უკვე არსებული პოლიტიკურ-სამართლებრივი ჩარჩო ევროპის მწვანე შეთანხმების მიღწევით? რა ეკონომიკური მნიშვნელობის შეიძლება იყოს იგი ქვეყნისთვის ოგიდა შეეხება თუ არა ის ღრმა და ყოვლისმომცველ სავაჭრო შეთანხმებას (DCFTA) ევროკავშირთან? გულისხმობს თუ არა ევროპული შეთანხმება საქართველოს მხრიდან ამბიციური კლიმატ-ენერგეტიკული ინდიკატორების განსაზღვრას? ნიშნავს თუ არა ის, რომ 2050 წლისთვის საქართველოც კლიმატ-ნეიტრალური სახელმწიფო უნდა გახდეს?

სწორედ აღნიშნულ ღია კითხვებზე საპასუხოდ იგეგმება წარმოდგენილი კვლევითი პროექტის განხორციელება, რომელიც შესაბამის კვლევით საქმიანობას და სამეცნიერო კონფერენციის მოწყობას ისახავს მიზნად. პროექტის ინოვაციურობის თვალსაზრისით ხაზი უნდა გაესვას იმას, რომ ზემოხსენებული მწვანე შეთანხმება და კლიმატის კანონის მიღება სრულიად ახალი პროცესია, შესაბამისად მწირია ამ მხრივ სამეცნიერო აქტივოებები და საჭიროა ლიტერატურის მობილიზება. აღნიშნული ხარვეზის შესავსებად, პროექტის ფარგლებში დაგეგმილია კვალიფიციური

აკადემიური პერსონალის და მომხსნეებლების მოწვევა და მათ მიერ წარმოდგენილი სამეცნიერო მოხსენებების აკადემიური ჟურნალის სახით გამოცემა. შესაბამისად, პროექტის ფარგლებში წარმოდგენილი იქნება ისეთი რეკომენდაციები და მიმართულებები, რომლებიც სიახლეს წარმოადგენენ ქართული ევროპული პოლიტიკის, ეკონომიკური განვითარებისა და იურისპრუდენციისთვის.

გარდა ამისა, პროექტი მიზნად ისახავს დისკუსიის სტიმულირებას და თვისებრივ გაანალიზებას ეროვნული პოლიტიკის „მწვანე“ ტენდენციების ირგვლივ, მოკლე, საშუალო და გრძელვადიან პერსპექტივაში საქართველოს კლიმატის ცვლილების შერბილების პოლიტიკის პოტენციალის შესახებ, რათა ამ მხრივ ამაღლდეს ცნობიერება და სტიმული მიეცეს ამ სფეროს მნიშვნელოვან საკითხებზე სამომავლო კვლევებისთვის.

დაბოლოს, აღსანიშნავია, რომ პროექტი ემთხვევა COVID-19-ის გლობალურ პანდემიას, რადროსაც ბევრმა სახელმწიფომ კრიზისიდან გამოსვლის გეგმაში უკვე შეიტანა „მწვანე აღდგენის“ (Green recovery) ზომებიც. მათ სოლიდური ფინანსები მიმართეს სუფთა ტრანსპორტის, ენერგეტიკის, ცირკულარული ეკონომიკისა და სხვა სფეროებისკენ. წამყვანი ექსპერტები, ეკონომისტები და პოლიტიკოსები დღეს ხმამაღლა საუბრობენ „მწვანე აღდგენაზე,“ რომელიც „აშენებს უკეთესს.“ პროექტის ფარგლებში გამოკვლეული იქნება, თუ რა პერსპექტივებია საქართველოში „მწვანე აღდგენის“ მიმართულებით.

2. პროექტისა და სამეცნიერო კვლევის ფორმატი

წინამდებარე კვლევითი პროექტი ეფუძნება სამართლის თანამედროვე ტენდენციებს და მასში გამოყენებული მეთოდოლოგია დესკრიფციული, ანალიტიკური და შედარებითი სამართლებრივი ელემენტების შერწყმაა. ამავდროულად, უნდა შეინიშნოს კვლევის საგნის მაღალი პოლიტიკური ბუნება, რადგან პროექტის ფარგლებში წარმოდგენილი მეცნიერული ანალიზი არსებითად ევროპეიზაციის პოლიტიკას ეფუძნება. ევროპეიზაცია, პირველ ყოვლისა, პოლიტიკური ხასიათის ცნებაა და ისეთ საკითხებს მოიცავს, როგორიცაა მაგალითად - პოზიტიური პირობითობის სტრატეგია. ეს უკანასკნელი, თავის მხრივ, განიმარტება, როგორც ევროკავშირის შესაძლო ბერკეტი, ჩამოაყალიბოს მოკავშირეობა თანამოაზრე მესამე მხარეებთან სამართლებრივი, პოლიტიკური, ადმინისტრაციული ვალდებულებებისა და პროცედურების ქსელის საშუალებით. გარდა ამისა, განსაკუთრებული აქცენტი უნდა გაკეთდეს ევროპეიზაციის ეკონომიკურ ანალიზზე და არსებული ღრმა და ყოვლისმომცველი სავაჭრო შეთანხმების პერიპეტიებზე. სწორედ აღნიშნულიდან გამომდინარე, ვადგენთ, რომ ევროპის მწვანე შეთანხმების შეფასება მის სამართლებრივ, პოლიტიკურ და ეკონომიკურ ანალიზს უნდა დაეფუძნოს.

შესაბამისად, წინამდებარე კვლევითი პროექტი ინტერდისციპლინური ხასიათისაა. სამართლებრივი ტექსტებისა (ასოცირების ხელშეკრულება, ევროკავშირის რეგულაციები, დირექტივები, სხვა კანონები) და კომენტარების გარდა, კვლევა ასევე აქტიურად დაკავდება სხვა

დისციპლინების ლიტერატურის ანალიზით (მაგ. გარემოს დაცვითი), რაც დაეფუძნება, როგორც კონვენციურ წყაროებს, ისე ინტერვიუებს შესაბამის ექსპერტებთან. კვლევის შედეგები საინტერესო იქნება არა მარტო იურისტებისთვის, პოლიტიკის მეცნიერებების მკვლევარებისთვისა და ეკონომისტებისთვის, არამედ მომიჯნავე დარგის სპეციალისტებისთვისაც.

მეტი სისტემურობისთვის, საპროექტო განაცხადი აყალიბებს ძირითად და დამატებით შეკითხვებს. მათზე ფოკუსირება მეთოდოლოგიური თვალსაზრისით გამართლებულია იმდენად, რამდენადაც იგი ზემოთგანხილული მიზნებისა და ძირითადი კონცეფციის შესატყვისია.

ძირითადი შეკითხვა: რა პირდაპირი თუ ირიბი პოლიტიკური, სამართლებრივი და ეკონომიკური ზემოქმედება აქვს ევროპის უახლეს „მწვანე შეთანხმებას“ საქართველოზე?

დამატებითი შეკითხვა 1: სამართლის ევროპეიზაციის ეფექტურობის რა კონკრეტულ სამართლებრივ მექანიზმებს აწესებს არსებული სამართლებრივი ჩარჩო? რა კონკრეტული გავლენა შეიძლება ჰქონდეს ახლახან მიღებულ ევროპის კლიმატის კანონს საქართველოზე?

დამატებითი შეკითხვა 2: არის თუ არა ევროპის მწვანე შეთანხმება ახალი ევროპულ-ქართული ეკონომიკური ურთიერთობების სათავე და მოასწავებს თუ არა იგი ასოცირების შეთანხმების ეკონომიკური ნაწილისა და DCFTA - ის გადახედვას?

დამატებითი შეკითხვა 3: რა მოსალოდნელი პოლიტიკური შედეგები შეიძლება მოჰყვეს ევროკავშირი-საქართველოს არსებულ ურთიერთობებს? რა დამატებით პერსპექტივებს აჩენს პოტენციური მჭიდრო კლიმატ-ენერგეტიკული კავშირები?

3. კვლევაში ჩართულობის უზრუნველყოფის მექანიზმები (მედია გაშუქება, მარკეტინგი)

ცნობიერების ამაღლება და ფართო საზოგადოებრივი წრეების ჩართულობას აღნიშნული თემატიკის ირგვლივ პროექტის ერთ-ერთი მთავარი მიზანია. საკითხის ინოვაციურობის, რელევანტურობისა და საზოგადოების მომეტებული ინტერესის გათვალისწინებით, სასურველია პროექტის ფარგლებში განხორციელებული ცალკეული ღონისძიებების მაღალ დონეზე გაშუქდება. ამ მხრივ იგეგმება მჭიდრო თანამშრომლობა საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურთან.

დამატებით, საკითხის მეტად პოპულარიზაციის მიზნით, (ვინაიდან ნაკლებია საკითხის შესახებ ცოდნა), შესაძლოა მომზადდეს მწვანე ბროშურები, სადაც მოკლედ აღინიშნება აღნიშნული პროექტის შესახებ და მის მიზნებზე, რაც დარიგდება უნივერსიტეტის სტუდენტებთან. ასევე უნივერსიტეტში შესაძლოა გაკეთდეს მწვანე კუთხე, რაც სტუდენტების და პერსონალის ყურადღებას მიიქცევს და მოემსახურება ცნობიერების ამაღლებას.

4. მოსალოდნელი შედეგები სამეცნიერო საზოგადოებისათვის, წამყვანი და თანამონაწილე ორგანიზაციებისათვის, უნივერსიტეტისთვის და ფართო საზოგადოებისათვის

განსაკუთრებული აქცენტები გაკეთდება შედეგების სათანადოდ დამუშავებასადამისიეფექტურად გავრცელების ღონისძიებებზე. პროექტის მოსალოდნელი შედეგები მოიცავს:

1. **აკადემიური სამეცნიერო ჟურნალის** გამოქვეყნებას, რომელსაც შესაბამისის პოლიტიკის განმახორციელებელი ორგანოების მიმართ საკონსულტაციო ხასიათი ექნება;
2. **ევროკავშირთან ასოცირების გზამკვლევის შემუშავებას,** რომელიც განსაკუთრებულ აქცენტს გააკეთებს მწვანე შეთანხმების მიერ გამოვლენილ გარემოებებზე;
3. **ორდღიან სამეცნიერო კონფერენციას** დასამეცნიერო ჯგუფების მიერ შუალედური შედეგების პრეზენტირებას. ეს მოხსენებები მოგვიანებით გამოქვეყნებული იქნება სამეცნიერო ჟურნალში ან შესაბამის სახელმძღვანელოში;
4. **მიღებული შედეგების თავმოყრას და უნივერსიტეტისთვის წარდგენას.** იმის გათვალისწინებით, რომ პროექტის თემატიკა უახლეს საკითხს წარმოადგენს, აკადემიურ სივრცეში ძნელად თუ მოიძებნება მკვლევარები ამ სფეროში და შეზღუდულად იკითხება აღნიშნული დისციპლინა, შესაძლებელია მომზადდეს სასწავლო კურსის სილაბუსი.

5. კვლევის შედეგების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფისა და გავრცელების მექანიზმები

გამომდინარე იქიდან, რომ ეს კვლევა საქართველოში ევროკავშირის უახლესი „მწვანე შეთანხმების“ აკადემიურ-სამეცნიერო სივრცეში გადატანის ერთ-ერთი პირველი მცდელობაა, განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა მიღწეული შედეგების ფართოდ გავრცელებას და მათ პრაქტიკული რეალიზების შანსებს. ამ თვალსაზრისით, პროექტი მიზნად ისახავს:

- კვლევითი საკითხის ირგვლივ ცნობიერების ამაღლებას, პროექტის სამეცნიერო აქტივობებისა და შედეგების ფართოდ გავრცელებას. ეს ეხება როგორც სამეცნიერო, ისე ფართო საზოგადოებას (კვლევითი ინსტიტუტები (Think-Tank), არასამთავრობო ორგანიზაციები, პრაქტიკოსები და პოლიტიკის განმსაზღვრელი სპეციალისტები);
- ერთგვარი „ერთიანი ცოდნის სისტემის“ განვითარებას, რაც დარგის მიმართ სამომავლო სამეცნიერო დებატის და სადისკუსიო სივრცის წარმოქმნას;
- მიღებული შეფასებების საფუძველზე, პროექტით მიღწეული შედეგების კვალდაკვალ ახალი იდეების გენერირებას.

6. ინფორმაცია პროექტის მონაწილეების (პროექტის ხელმძღვანელის, კოორდინატორის ორგანზიაციის) პერსონალის პროექტში როლის შესახებ
საკითხის მასშტაბურობიდან გამომდინარე, აუცილებელია აღვნიშნოთ პროექტის მონაწილეებისადა პერსონალის ჩართულობის მნიშვნელობა აღნიშნული კვლევის პროცესში. ვინაიდან საკვლევი თემა მეტად კომპლექსურია, ის მონაწილე პირთა მაქსიმალურ ჩართულობას საჭიროებს. პროექტის მონაწილეები დიდ როლს ითამაშებენ საკითხის კვლევის პროცესში, მიიღებენ მონაწილეობას პროექტიდან გამომდინარე გამართულ სხვადასხვა აქტივობებში, მათ შორის დაგეგმილ კონფერენციაში. ისინი ჩართულები იქნებიან კვლევის უშუალო მსვლელობის პროცესში და გაგვიზიარებენ საკუთარ ხედვას საკვლევი თემის შესახებ. ვინაიდან აღნიშნული პროექტისაჭიროებს საკვლევი თემის სიღრმეებში შესვლას, ადამიანური რესურსების გამოყენება ამ მხრივ აუცილებელია. შესაბამისად კვლევის პროცესის წარმატებით წარმართვისათვის უაღრესად მნიშვნელოვანია პროექტის მონაწილეთა როლი.
7. პროექტში ინტერ და ინტრა/ინსტიტუციური თანამშრომლობის ხარისხი
პროექტის ფარგლებში დაგეგმილი ადგილობრივი და საერთაშორისო თანამშრომლობა როგორც ეროვნულ, ისე უცხოურ აკადემიურ და სამეცნიერო წრეებთან და დაწესებულებებთან. კერძოდ, პროექტის ფარგლებში შეიქმნება რამდენიმე მკვლევარისაგან დაკომპლექტებული დარგობრივი ჯგუფები სამი მიმართულებით, რომელშიც ჩართული იქნება როგორც სეუ-ს, ისე სხვა უმაღლესი სასწავლებლის აკადემიური პერსონალი. გარდა ამისა, სამეცნიერო კონფერენციის ჰიბრიდული მოდელი საშუალებას იძლევა პროექტის განხორციელების სხვადასხვა ეტაპზე ჩართოს უცხო ქვეყნის უმაღლესი დაწესებულებები. აქ, უპირველესად, უნდა აღინიშნოს წარმატებული თანამშრომლობის რამდენიმე მაგალითი: ლაზარსკის უნივერსიტეტი (პოლონეთი) და ვიურცბურგის უნივერსიტეტი (გერმანია). პროექტის ფარგლებში ასევე იგეგმება სხვადასხვა აქტივობებში დამატებითი უცხოურიპროფესურისა და დაწესებულების ჩართვა, რომელთაც განსაკუთრებით მაღალი ექსპერტიზა აქვთ შესაბამისი თემატიკის მიმართულებით, კერძოდ ლიუვენის უნივერსიტეტის გარემოს დაცვისა და ენერგეტიკის სამართლის ინსტიტუტი, ბრიუგეს მდგრადი განვითარების კოლეჯი, ჰაზელტის უნივერსიტეტი (ბელგია), გრონინგენის უნივერსიტეტის ენერგეტიკის სამართლის ინსტიტუტი (ნიდერლანდები), ბერლინის ტექნიკური უნივერსიტეტი (გერმანია) და სხვა. პროექტის წარმატებით იმპლემენტაციისთვის უაღრესად მნიშვნელოვანია ევროპული ინტეგრაციის კვლევითი ცენტრის, როგორც პროექტის განმახორციელებელი ინსტიტუტი, თანამშრომლობა სეუს შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებთან, განსაკუთრებით კი უნივერსიტეტის სამეცნიერო კვლევით მიმართულებასთან, საერთაშორისო ურთიერთობებისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურთან.
8. პროექტის ფარგლებში განხორციელებული ყველა აქტივობის დასახელება.
პროექტისა და სამეცნიერო კვლევის ფორმატი სამგვარია:

ა) კვლევა და ანალიზი: პროექტის ფარგლებში შეიქმნება რამდენიმე მკვლევარისაგან დაკომპლექტებული სამეცნიერო ჯგუფი სამი მიმართულებით, რომლებიც დაამუშავებენ ევროპის მწვანე შეთანხმების საქართველოზე ზეგავლენის შეფასებას სამი მიმართულებით: პოლიტიკური, ეკონომიკური და სამართლებრივი ანალიზი.

ბ) სამეცნიერო კონფერენცია: ჩატარებული სამეცნიერო კვლევის საფუძველზე მოხსენებები წარმოდგენილი იქნება საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტის მიერ ორგანიზებულ ორ დღიან ჰიბრიდულ სამეცნიერო კონფერენციაზე, რომელსაც ქართველი და უცხოელი აკადემიური პერსონალის გარდა, დაესწრებიან სტუდენტები და სხვა დაინტერესებული მხარეები.

გ) მიღწეული შედეგების თავმოყრა, გავრცელება და დისემინაცია: როგორც ზემოთ აღინიშნა, თემის აქტუალობიდან გამომდინარე, განსაკუთრებული აქცენტი გაკეთდება მიღებული შედეგების გამოქვეყნებასა და ფართოდ გავრცელება. (იხ. დეტალური გეგმა 4.5 პუნქტში)

9. პროექტის საერთაშორისო განზომილება (მაგ. პარტნიორები, გამოქვეყნება და სხვა)

პროექტის საერთაშორისო განზომილება, პირველ ყოვლისა, გაიზომება 4.7 პუნქტში წარმოდგენილი საერთაშორისო სამეცნიერო დაწესებულებების ჩართულობით ღონისძიების ცალკეულ ეტაპზე. სამეცნიერო ჟურნალის გამოცემა კი, რომელიც დაგეგმილია შედეგების დისემინაციის ნაწილში, გათვალისწინებულია ორ ენაზე (ქართული, ინგლისური). ეს საშუალებას იძლება გაიზარდოს პოტენციური აუდიტორია, რომელიც სარგებელს მიიღებს მიღწეული შედეგების წარმოდგენის შედეგად.

10. პროექტის შედეგების მდგრადობა

პროექტის მდგრადობის უმთავრესი კომპონენტია ევროკავშირის ჟან-მონეს საგრანტო განაცხადის მომზადება, რასაც საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი გეგმავს 2022 თებერვლისთვის დასახელებული თემატიკის ფარგლებში. კერძოდ, უნივერსიტეტი ემზადება ევროკავშირის ERASMUS Jean Monnet ის პროგრამის ფარგლებში განაცხადი წარადგინოს სამ წლიანი მოდულის განხორციელებაზე, რომელიც მიზნად ისახავს, რომ უფრო სიღრმისეულად შეისწავლოს ევროკავშირის მწვანე შეთანხმების საფუძვლები და სექტორული მიმართულებები და გააანალიზოს მისი საქართველოში დანერგვის ტენდენციები, მოამზადოს შესაბამისი სასწავლო კურსი და ხელი შეუწყოს მის ადგილობრივ დონეზე იმპლემენტაციას. აღნიშნული განაცხადის მომზადების წინაპირობა იქნება ის კვლევითი კომპონენტი და სამეცნიერო დისკურსი, რაც ადგილს დაიდებს წარმოდგენილი საგრანტო კვლევითი პროექტის იმპლემენტაციისას.

2. საორგანიზაციო ჯგუფი

1. პროექტის ხელმძღვანელი - ირაკლი სამხარაძე, i.samkharadze@seu.edu.ge.
2. პროექტის ასისტენტი - ნათია გუგუნაშვილი, n.gugunashvili@seu.edu.ge.
3. პროექტის კოორდინატორი - ანი ცირეკიძე, atsirekidze@seu.edu.ge;